პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სერგო ზაქარიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობ იაკობ ტრიპოლსკის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, სერგო ზაქარიაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მსახიობ იაკობ ტრიპოლსკის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ია კობ ტრიპოლსკის ქ.
მიღვა ნოსტალიის ქუჩა
63
61
59
57
55
53
51
49
44
42
40
38
36
2
1
3
5
7
9
11
8

იაკობ(იაშა) ტრიპოლსკი

(1919-1988)

საქართველოს სახალხო არტისტი

დაიბადა დუშეთის რაიონში, დაბა ფასანაურში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1942 წლიდან იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი. შესრულებული აქვს სხვადასხვა ხასიათის როლი, მ. შ. მანუჩა (ვ. კანდელაკის "მაია წყნეთელი"), იასონი (შ. დადიანის "ნინოშვილის გურია"), ტიბალტი, მალვოლიო (შექსპირის "რომეო და ჯულიეტა", "მეთორმეტე ღამე"), თინიბეგი (მრევლიშვილის "ზვავი"), ბახა (ვაჟა-ფშაველას "მოკვეთილი"), დათიკო ("მე ვხედავ მზეს" დუმბაძის მიხედვით), გიჟუა, მოურავი (ცაგარლის "რაც გინახავს, ვეღარ ნახავ") და სხვა.

კინოში იღებდნენ 1943 წლიდან. მისის შესულებული როლებია: თეიმურაზი ("ქეთო და კოტე"), პროფესორი ("ჭრიჭინა"), ი. სტალინი ("მიზნის არჩევა"), ზურაბ გურგენიძე ("ქალის ტვირთი"), თორღვაი ("ხევისბერი გოჩა") და სხვა. მი/რებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები, პრემიები და პრიზები. 1950 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, 1966 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით.

გარდაიცვალა 1988 წელს.